ფასი 30 თეთრი


# ფანტაზია

№36 (62) 1997 წ.


# თვალსაჩინოებათა კროსვორდი

და (მე-2-3 გვერდებზე):

**სერპანტინი–3**

საკაიფო კროსვორდები

**ქარის წისქვილი**

და-ა-ა-ა-ა-ა-ა

**FOOTBALL-WORD!!!**



29. არ გათეთრდება...რა?





38. კონტინენტი

## გმადლობთ!!!

აჩიკო და თორნიკე დემეტრაძეების მამას, ბატონ ავალიანე დემეტრაძეს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ სიკეთისა და დახმარებისათვის, რაც მან გაჭირვებისას ჩვენს შვილს, ლევან ელერდაშვილს, ალმოუჩინა!

*პატივისცემით ლევან ელერდაშვლის მშობლები*



## თარაზულად

9. „იურული პერიოდის პარკი“ — რეჟისორი?

10. ქართველი კინო რეჟისორი და სცენარისტი, ბატონი ირაკლი;

12. *(იხილეთ ფოტო);*

13. დაასრულეთ ლოგიკური მწკრივი: ბათუმი, სოჭი, იალტა, კონსტანცა და .....? 15. XX ს. ცნობილი რუსი კომპოზიტორი, იგორ... 16. სანიმუშო, მისაბაძი, სრულყოფილი... ანუ როგორი? 18. მენავთობეთა დასახლება ციმბირში; 20. ლათ ამერიკის სახ. დედაქალაქი; 22. ინგლ.– მის, ფრანგ. – მადამ, გერმანულად –? 24. *(იხილეთ ფოტო);* 26. ყალმუხეთის დედაქალაქი; 29. *(იხილეთ ფოტო);* 30. ორი დის ერთ-ერთი ქმარი; 32. ხევისბერი – ბალაშვილი, ძიძია – აბაშიძე, ონისე –? 34. ძველბერძენი დრამატურგი; 35. *(იხილეთ ფოტო);* 37. ძალიან გრძელი, ძველებური წერილი; 39. ნიჭი ანუ რა? 41. „თანხმობის ნიშანი“; 42. საფარ-ბეგი ბათუ-აფხაზისათვის; 43. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ენა.

## შვეულად

1. მოკლე მანძილებზე მორბენალი მძლეოსანი; 2.. ჩუმი, წყნარი ნათება; 3. ადრიანო ჩელენტანოს ადრეული კინოროლი; 4. ქალთა კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი; 5. სამოციანი წლების პოპულარული ცეკვა; 6. არგენტინა – ბრაზილია 4–4; 7. ქართულად – სოხუმი, რუსულად – სუხუმი, აფხაზურად – ? 8. როგორი შეიძლება იყოს მზე ქართულ კინოში? 11. როგორ შეიძლება ვთარგმნოთ რუსულად გვარი „გარგარაშვილი“; 14. *(იხილეთ ფოტო);* 17. თევზის შთამომავალი; 19. იგივეა, რაც ომგადახდილი; 21. მდინარე ციმბირში; 23.. სახე ქვემოთ ანუ რა? 25.. რა უნდა გამოიჩინო სიყვარულში (...და არა მარტო მასში)?; 27. ძალზედ ჩვეულებრივი და გაცვეთილი ანუ როგორი; 28. *(იხილეთ ფოტო);* 31. ქუჩის გასანათებელი საშუალება; 33. თავხედი და ხეპრე ანუ როგორი? 35.. ციმბირის მდინარე; 36.. ძვირფასი წიაისეული 38. *(იხილეთ ფოტო);* 40. ქართული სპორტული გაზეთი;



28. ამპლუა



12. გაიხსენეთ ამ სატრანსპორტო სუბიექტის სრული სახელი

## გუგულები



24. „პროფესია“



35. „სტატუსი“

14. სპორტსმენი, რომელსაც ამ „ინვენტარის“ დაჭერა ევალება და „ევასება“.



# ფანტაზიიდან ფანტაზიამდე

მოგეხსენებათ, ჟურნალისტის საქმე ფაქტისა თუ პრობლემის დაფიქსირებაა და მას არავინ ავალებს აღნიშნულ–შენიშნულ–დანიშნულ საკითხთა „ღრმა ანალიზს“. მართალია, ისეთი პიროვნებები ხშირად გამოდიან პრესის ასპარეზზე, რომელნიც შევარდენს და მიმინოს, არათუ ორნითოლოგიის თვალსაზრისით, არამედ ლექსიკურადაც ვერ ასხვავებენ და რომელნიც მზად არიან ყველა მთავრობასა და ყველა პარლამენტს „ღრმაანალიზოვანი“ რჩევები მისცენ... მაგრამ, მოდით, ასეთებს თავი დავანებოთ და ჩვენს პრობლემას მივხედოთ, რომელსაც სახელად „10 თეთრიანი გაზეთები“ ჰქვია! ვიმეორებთ – ის, რასაც ახლა ვიტყვით, შორს დგას ანალიზისა და დასკვნებისაგან და უბრალოდ დაფიქსირებაა იმ ფაქტისა, რომ ქართული პრესა „ახალ მოსახვევში“ შევიდა და იქიდან რა გზა გამოჩნდება, არც არავინ იცის და, მგონი, არც არავის აწუხებს ეს საკითხი. მთავარი ისაა, რომ მკითხველისათვის სასიკეთო პროცესი მიმდინარეობს და გაზეთი, ფუფუნების კი არა, ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი, ყოველდღიური მოთხოვნილების საგანი ხდება.

პრობლემა კი ისაა, რომ ამგვარი გაზეთების რეალიზაციაში უამრავი მცირეწლოვანი ბავშვია ჩართული. ახლა ვინმე იფიქრებს, რომ ჩვენ გვსურს, ამ პატარა მშრომელ არსებებს შრომა ავუკრძალოთ და იმ ძველი, კომუნისტური პათეტიკით ვიკითხოთ – სად იყურება მავანი სამინისტრო თუ უწყებაო?! არა, ბატონო, ღმერთმა დაგვიფაროს საქმის მიმართ ამ არადემოკრატიული მიდგომისაგან; ირგვლივ გაგანია საბაზრო ეკონომიკაა გაჩაღებული და ჩვენ რა ენა უნდა გაგვიხმეს, რომ ამ სასიკეთო საქმეს ხელი შევუშალოთ. უბრალოდ ამ „10-თეთრიანი“ პრესის ფონზე გამოჩნდა ათობით ბავშვი, რომელიც, ალბათ, მრავალ სიკეთესა და სიამესაა მოკლებული და იძულებულია მეტროპოლიტენის ვაგონებში „ფარატინების“ ტარებით ირჩინოს თავი. არადა, ეს „ბიზნესი“ ნამდვილად უკეთესია იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ, პირობითად, „დეიდებო-ბიძიებოს“ ბიზნესს ვუწოდებთ და რამაც, ჩვენი აზრით, თავისი დრო უკვე მოჭამა.

ადრე, სადმე უცხოურ ფილმში გაზეთების გამყიდველ ბავშვს რომ მოვკრავდით თვალს, ღმერთმანი, გვიკვირდა, თუ რატომ არავინ უშლიდა მათ ასე ქუჩა-ქუჩა წანწალს, მაგრამ ახლაღა გვესმის, რომ ეს, წანწალი კი არა, „მაღალგანვითარებული“ დემოკრატიული ცხოვრების აუცილებელი წესია, რასაც ვერც ჩვენ ავუვლით გვერდს, თუ იმ ქვეყანათა გვერდით გვსურს საკუთარი ღირსებების წარმოჩენა.

ჰოდა, პრობლემაო, რომ ვთქვით, ის კი არაა, რომ ამ ბავშვებს შრომა ავუკრძალოთ, არამედ ისაა, რომ მათს შრომას რაღაც ორგანიზებული სახე მივცეთ და ყველანაირად შევუწყოთ ხელი ათასი ჯურის ოფიციალური თუ არაოფიციალური „რეკეტისაგან“ გათავისუფლების თვალსაზრისით; არადა, ამგვარი რეკეტი რომ არსებობს და რომ ნებისმიერი პატიოსანი შრომის პარალელურად იჩენს ხოლმე თავს, ალბათ, ყველა დაგვერწმუნება.

მაშ ასე, ჩვენს ცხოვრებაში მორიგი სიახლე გაჩნდა – პრესამ გაიაფება დაიწყო და „დეიდებო–ბიძიებმა“ მათხოვრობას ანებეს თავი! ვნახოთ, რა დასკვნებს გამოვიტანთ ამ პროცესიდან, ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, აკრძალვა–აღკვეთას ნუ მოისურვებთ, რადგან ერთადერთი ჭეშმარიტება, რაც კომუნისტობამ დაგვანახა, ისაა, რომ ყოველგვარ აკრძალვას ბნელი, უპატიოსნო ძალების გაფუფუნება და მშრომელი ადამიანის დათრგუნვა მოსდევს...

*...და პატარა რეკლამა:*
*შეიძინეთ 10-თეთრიანი გაზეთები!*

## ანეკდოტი

*მამა ზის მაგიდასთან და ლატარიის ბილეთებს ამოწმებს. უკვე 70 ცალი შეამოწმა და ვერცერთი ლარი ვერ მოიგო. მასთან მირბის პატარ ბუხუტი და ეკითხება*

*– მამიკო, მამიკო, რას აკეთებ?*

*– ნუ მიშლი, ხელს , შვილო; აი, ახლა „მერსედესს“ მოვიგებთ, მე საჭეს მივუჯდები, დედაშენი გვერდით მომიჯდება...*

*(...ამასობაში ბილეთი ბილეთს მისდევს და არცერთი მათგანი არ იგებს...)*

*– მე სად უნდა დავჯდე, მამიკო?*

*– შენ უკან დაჯდები...*

*– არ მინდა მე უკან?!*

*– მაშინ ჩამოდი ჩქარა მანქანიდან.*

# ზოო—ფანტაზია

## ცხოველები და ცისფერი ეკრანი

*ამერიკელი შინაური ცხოველების გართობის საუკეთესო საშუალება ტელევიზიით იმ ფილმების ყურება ყოფილა, რომლებიც ველური ბუნების ამბებს მოგვითხრობენ.*

ამერიკაში, როგორც ყველა სხვა სფეროში, შინაური ცხოველების ინტელექტუალური განვითარების საკითხშიც შესაშური სრულყოფილებით არის გადაჭრილი პრობლემა. უკანასკნელი გამოკვლევების გასაოცარმა შედეგებმა დაადასტურეს, რომ შინაური ცხოველების 80% პროცენტი ტელეეკრანებზეა მიჯაჭვული ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და მათ შეუძლიათ დღე-ღამეში საშუალოდ 9 საათის განმავლობაში ადევნონ თვალი „სულელების ყუთს", როგორც ამერიკელები უწოდებენ ტელევიზორს.

ასე მაგალითად:

*ერთმა ამერიკელმა მთელ „ახალ სამყაროს" მოსდო ამბავი იმის შესახებ, რომ მისი ძაღლი – სახელად რეთი – დღეში სამჯერ უყურებს პოპულარული რომანის – „ქარწაღებულნი"-ს – ვივიენ ლისეულ ეკრანიზაციას...(?!)*

*მეორე ძაღლის პატრონმა კი, სენტ-ლუისიდან, განაცხადა – „როცა ჩემი პუდელი ცუდად იქცევა, მე მას ტელევიზორთან ვაბამ და ვაიძულებ, რომ შექსპირის „მეფე ლირს" უყუროს; მცირეოდენი ძალდატანების შემდეგ პუდელი ფილმის პერიპეტიებში ერთვება და თავისი საყვარელი ძვალიც კი ავიწყდება".*

ყოვლადმოკირკიტე ამერიკელ სოციოლოგებს ასეთი ფაქტებთან დაკავშირებით შინაური ცხოველების 1000 პატრონისათვის გამოსაკითხი ანკეტები დაურიგებიათ, სადაც მთავარი კითხვა, სწორედ, ცხოველისა და ტელევიზორის ურთიერთობას შეეხო.

– „ჩვენ განცვიფრებულნი დავრჩით, როცა შევიტყეთ, რომ ძაღლებს, კატებს, თუთიყუშებს და – თქვენ წარმოიდგენეთ – ღორსაც კი გართობის მთავარ საშუალებად ტელევიზორი გაუხდიათ და მზად არიან საათობით ისხდნენ პატრონების მუხლებზე, ოღონდ კი რომელიმე შედევრს ადევნონ თვალი" – ამგვარი კომენტარი გაუკეთა გამოკითხვის შედეგებს დოქტორმა ჰოიტ უილიამსონმა.



ასე რომ, დაიწყო კვლევა იმისა, თუ რომელი და როგორი პროგრამები უყვართ ცხოველებს და დადგინდა, რომ მათ ყველაზე მეტად ველური ბუნების ამსახველი გასართობი პროგრამები მოსწონთ, ხოლო სერიალი „ლესი" საოცარი პოპულარობით სარგებლობს მათ შორის (*დარწმუნებულნი იყავით, რომ ბიზნესის ყადრის მცოდნე თადარიგიანი ამერიკელები მალე, სპეციალურად ცხოველთათვის, ვიდეოპროდუქციის წარმოებას დაიწყებენ – რედ.)*

კიდევ მაგალითები: *მინეაპოლისში არის თუთიყუში, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარს ფილმ „ცარიელი ბუდის" ცქერა, ხოლო ალაბამელ მონადირე ძაღლებს განსაკუთრებით აღელვებთ მანიაკებისა და ვამპირების შესახებ არსებული ფილმები.*

ზემოთხსენებული გამოკითხვის შედეგად ისიც გაირკვა, რომ თურმე შინაური ცხოველების გემოვნება ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რაგვარი შეხედულებები და აზრები [illegible] მათი მფლობელებს ტელეპროგრამებთან მიმართებაში, ანუ: ცხოველი მხოლოდ-მხოლოდ იმ [illegible] აქცევს ყურადღებას, რომელიც მის პატრონსაც [illegible] და ისიც [illegible], თითქმის არსებული, [illegible] შაბათობით უყურებს თავის საყვარელ ტელეპროგრამებს.

და კიდევ მაგალითები:

*„ჩემი კატა შაბათობით არ ჭამს, არ სვამს და გახალებული დარბის ოთახში, სანამ მე მას ტელევიზორს არ ჩავურთავ" (ინდიანაპოლისელი ქვრივი); ერთი პატარა ვოჭის, არნოლდის მფლობელმა კი თქვა, რომ ამ ღრუტუნიას ნერვული კრუნჩხვები დაემართა, როცა ეთერიდან მოხსნეს ფილმი „მწვანე ტრამალები"; ღორს იმდენად უნერვიულია, რომ პატრონი იძულებული გამხდარა ფერმაში გაეგზავნა ის, სადაც ერთი წლის შემდეგ თავისი სიკვდილით გარდაცვლილა ტელევიზიაზე განაწყენებული ღორი–არნოლდი...*

**P.S.** ტელევიზორისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ ამ ათიოდე წლის წინ საკუთარი თვალითა და ყურით ვართ შემსწრენი იმ ფაქტისა, თუ როგორი სიზუსტით „მღეროდა" ერთი ძაღლი თავისი პატრონის მიერ პიანინოზე დაკრულ მელოდიას – რედ.

## ზოო-გლობუსი

### იემენი

#### თევზებიც კი გადაირივნენ

*მეწამული ზღვის სამხრეთ ნაწილში გაუგონარი თავდასხმა მოხდა: მფრინავი თევზების გუნდი აფრიან ნავს დაესხა თავს და აფრები ნაფლეთებად აქცია.*

– „ექვსი წელიწადი ვიმუშავე შვებულების გარეშე – განაცხადა ბატონმა იმან-ალიმ – რათა ბოლოსდაბოლოს შემძლებოდა საზღვაო მოგზაურობა დამეწყო, რაც დაღლილობის მოხსნის საუკეთესო საშუალება იქნებოდა; ამის ნაცვლად კი მე უზარმაზარი მატერიალური და მორალური სტრესი განვიცადე.

როცა იმან-ალის აფრიანი ნავი სუბეკვატორულ წყლებში შევიდა, მის თვალწინ ჰორიზონტზე ოქროსფერი ღრუბელი გამოჩნდა და მალევე გაქრა. გარკვეული ხნის შემდეგ ღრუბელი ისევ გამოჩნდა, ამჯერად ძალიან ახლო მანძილზე აფრიანი ნავიდან. ეს ღრუბელი კი არა, აგრესიული მფრინავი თევზების მთელი გუნდი აღმოჩნდა. იმან-ალი ამბობს, რომ ეს გასაოცრად ლამაზი და ამავე დროს შემზარავი სანახაობა იყო – „უვნებელი" თევზები გაავეთრებულნი ეხლებოდნენ აფრებს და კბილებით ფლეთდნენ. მათი რიცხვი სულ უფრო მატულობდა და ბოლოს ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ცა და ზღვა გაერთიანდა და ყველაფერი ნარინჯისფრად შეიღება.

ამ აგრესიის შემდეგ მთელი გემბანი მკვდარი თევზებით დაიფარა და მეზღვაური დიდხანს ათავისუფლებდა ნავს ზედმეტი ტვირთისაგან, ხოლო ნაფლეთებად ქცეული აფრები ქარმა წაიღო და იმან-ალის დიდხანს მოუნია წყალზე ტივტივი, სანამ მშველელი გამოჩნდებოდა.

„[illegible] ა[illegible]ლად [illegible] კბეხილი და [illegible]მოსელშემოხეული ვიყავი; თმები, განცდილი აღფრთოვანებისა და საშინელებისაგან, დიდხანს მედგა ყალყზე: ეს ყველაფერი დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მთელი ზღვის თევზები აქ მოგროვდნენ რაიმე ფსიქოზის გამო თუ რაღაცისადმი პროტესტის ნიშნად" — განაცხადა დაზარალებულმა.

როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, იქტიოლოგობმა აღნიშნულ მოვლენას „ჩვეულებრივი" კომენტარი გაუკეთეს და ყველაფერი ამ ბოლო დროს ოკეანეში დიდი რაოდენობით გაბნეულ რადიოაქტიურ და მომწამლავ ნივთიერებებს დააბრალეს.

### მექსიკა

#### *ბაყაყმა ოპერაციის მსვლელობას შეუშალა ხელი*

გადახსნილ გულზე მიმდინარე ოპერაცია შეწყვეტილ იქნა ერთი ბაყაყის გამოისობით, რომელიც პირდაპირ პაციენტს დაახტა გასანათებელი დანადგარიდან. ეს ამბავი ოპერაციაზე დამსწრე ერთმა ექთანმა წამოროშა, ხმამ პრესამდეც მიაღწია და საავადმყოფოს მესვეურნი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ ეს ფაქტი. მათი სიტყვებიდან გამომდინარე, ასეთ დროს ბაყაყის გამოჩენამ შოკი გამოიწვია ქირურგებს შორის, მაგრამ მალე ყველა დაწყნარდა და ოპერაციაც წარმატებით დასრულდა.

### ნორვეგია

#### *მე-18 სართულიდან გადმოვარდნილი ზაზუნა ცოცხალი გადარჩა*

ზაზუნა, რომელიც მე-18 სართულიდან გადმოუვარდა პატრონს, არათუ დაიღუპა, არამედ ნაკაწრიც კი არ დააჩნდა, ერთადერთი, რაც მას დაემართა, ის იყო, რომ მღრღნელმა გონება დაკარგა და ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ის ისეთივე ენერგიით დახტოდა თავისი პატრონის მე-18 სართულზე განლაგებულ ბინაში, როგორც ამ უპარაშუტო ფრენამდე სჩვეოდა.

## ანეკდოტები მოცემულ თემაზე

მამალი სირაქლემა დედალ სირაქლემას გამოეკიდა. დედალმა ირბინა, ირბინა, ბოლოს დაიღალა და, როგორც მათი წესი და რიგია, თავი მიწაში ჩარგო; მამალი შეჩერდა, შუბლზე ხელი მიიდო, მიმოიხედა და თქვა — ეჰ, ისევ დამემალა?!

☺ ☺ ☺

*გზაზე მაგრად ნაცემი ლომი მოდის; შემოხვდა კურდღელი.*

*— რა მოგივიდა, ლომო? — ჰკითხა კურდღელმა.*

*— მეზობელ ტყეში ჩხუბი მომივიდა, ისინი ბევრნი იყვნენ და მცემეს — უპასუხა ლომმა.*

*— მაინც რა ვართ, არა, ეს მხეცები! — „ანუგეშა" კურდღელმა.*

☺ ☺ ☺



ხომალდის დაღუპვის შემდეგ რობინზონ კრუზო, როგორც მოგეხსენებათ, უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა. ოცი წლის მარტო ცხოვრებამ მას საშუალება მისცა კუნძული აეთვისებინა.

ერთ საშინელ დღეს კუნძულზე კიდევ ერთი კაცი გამოირიყა. რობიმ იგი დააპურა, გაათბო და თავისი ღვინოც კი დაალევინა.

რობის სტუმარი როცა დათვრა, ჰკითხა მასპინძელს:

– „ინტიმურ კავშირს ვისთან ამყარებ?"

– „თხასთან" – უპასუხა რობიმ და თხებთან წაიყვანა.

– „მეც მასწავლე, რა!" – შეეხვეწა სტუმარი.

– „აირჩიე ნებისმიერი და ისიამოვნე".

სტუმარმა დაიჭირა პირველივე თხა, დაუწყო რქებზე ფერება, მაგრამ ვერაფერსა გახდა; ამ დროს კი რობინზონი სიცილისაგან კვდებოდა. სტუმარი ვერაფერს მიხვდა:

– „რატომ იცინი?" – გაბრაზებულმა ჰკითხა რობინზონს:

– „გემოვნება არა გქონია, ეგ თხა ულამაზოა".

☺ ☺ ☺

*ბებიასთან მიმავალი წითელქუდა მგელმა დაიჭირა და გააუპატიურა. მერე მგელი ჩამოჯდა ბუჩქის ძირას და წითელქუდას ჰკითხა:*

*– „მაინც რას ეტყვი ბებიას, რატომ დავიგვიანეო?"*

*– „ვეტყვი, რომ მგელი შემხვდა და სამჯერ გამაუპატიურა".*

*– „როგორ თუ სამჯერ? – ერთხელ!"*

*– „მგელო, შენ რა სადმე გეჩქარება?"*

## საკაიფო კროსვორდები



**თარაზულად:** 6. ჩვენი „ბანჯგვლიანი" ძმების სასუნთქი ორგანო; 9. ხორცის წვენი... ნივრით (თუ არსად არ ხართ წასასვლელი); 10. შიმშილის საზომი საშუალება წელზე; 12. ჯანმრთელი და ჯანმაგარი, ანუ როგორი? 13. გაგიჟებული, რომელიც „ქუდთან და აღებასთან" უშუალო კავშირშია; 16. ცხენის „საფეხური; 17. როგორი უნდა იყოს ამბავი, ფასი რომ გააჩნდეს? 18. მაიკლ ჯექსონივით ამაოდ დამაშვრალი ფრინველი; 19. ძველი ნივთების მამაპაპისეული „საწყობი"; 22. ოცდაექვსი დამპყრობისაგან განთავისუფლებული უბანი; 27. ტყის ასული (რუს.კავშ.) უკრაინელი პოეტი; 29. დაბრტყელებული დედამიწა; 30. პატარძლის დაკრეფილი ბოსტნეული; 32. ყირიმის ერთ-ერთი „იატაკიანი" (რუს.) ქალაქი; 34. სიმშვიდესთან უმძრახად მყოფი არსება; 35. „სიმღერის სახლი"; 36. კომუნისტების შთამომავლების ცეცხლი; 37. ქალი, რომელმაც ლონდრეს არ მისცა... სოლი; 38. ავეჯის ნაწილი, რომელიც ზოგჯერ ადამიანს აფუჭებს; 39. მდინარეზე დაცურებული შეკრული მორები... რაჭულად; 40. თბილისის ორიოლე უბნის მცხოვრების ზოგადი სახელი; 41. გვარზე მხტომი არსება.

**შვეულად:** 1. „კუდთან და აბზეკვასთან" უშუალოდ დაკავშირებული ამპარტავანი; 2. აბანოს პრობლემათა ყველაზე კარგი მცოდნე რეჟისორი; 3. სიმშვიდესთან უმძრახად მყოფი მღედრი; 4. არაკაპიტალური, გადაქცევაზე მყოფი ნაგებობა (როგორი?); 5. სამი ნაბიჯი, რომელიც ერთ თამაშში შეცდომად ითვლება; 6. ერთდროს სამზითვო საბუთი; 7. რა შეიძლება უსწრებდეს ეკალს? 8. ადვილადმოსაპარი გონებრივი პროდუქტი; 11. „ჩალიჩის" უკიდურესი ფორმა; 14. „ხორცთან და სიავესთან" უშუალო კავშირში მყოფი როსკიპი; 15. ქართული სცენისა და კინოს ყველაზე ცნობილი ბებია; 20. რა იყიდება ლატარიის ბილეთთან ერთად? 21. თავგადაკლული ბანქოს მოთამაშე (ჟარგ.); 23. რუსი თავადი, რომელიც არაფრით შორდება თბილისის ერთ-ერთ უბანს; 24. ძალიან „მნიშვნელოვანი თანამდებობა" მშენებლობაზე და მისთანებზე; 25. მხედველობაში დაჩაგრული ადამიანი; 26. ცოცხალი არსების ვასაჭრელი საშუალება; 28. „კატისებრი" (რუს.) [illegible] კრივში; 30. ერთ-ერთი ყველაზე კარგი რუსი [illegible]; 31. მცხარე, რომელიც [illegible] უვიცები სხედან; 32. რის დიაცი იყო აშოტ კურაპალატის საქრფო? 33. თქვით ძველებურად – „მაშინვე";



**თარაზულად:** 6. რა უნდა აჩვენო სხვას საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად? 10. პროფესიონალი დამშინებელი ბაღ-ბოსტნებიდან; 12. რა აქვს სილამაზის კონკურსში მონაწილე ყველა ლამაზმანს? 13. მუშის კომუნისტი კოლეგა; 14. გულის კრიტიკული სიტუაცია; 16. ყვითელსახიანთა და ვიწროთვალებიანთა საცხოვრებელი; 17. დასავლურქართული „ოჯახური" ღვინო; 18. ოჯახის შექმნის სამაღარიჩო სუფრა; 20. როგორია ეს ცხოვრება ფილოსოფოსების აზრით? 21. რა სჭირდება ფულის შოვნას? 22. ქალაქის ნაწილი, რომელიც ჟარგონულად გაგიჟებას უკავშირდება; 24. რა აქვს ყველა ცხოველს თავისთვის მონიშნული? 26. თბილისის არქიმედესეული რადიო; 28. შოტლანდიელების სიამაყე; 31. სიმარდის ლექსიკური კოლეგა; 32. რა სუფევს უვიცის გონებაში? 34. ინდოელი მაწანწალა; 35. რა განდევნეს კოკა-პეპსი-კოლებმა და მისთანებმა? 37. „მოსკვიჩის" ფრანგული ვარიანტი; 38. მათემატიკის „რითმიანი" ცნება; 41. სუფრაზე დიდ „როლის" შემსრულებელი მთის მინა; 42. საჰაერო ცნება, რომელიც ეზოში დაბმულ ძაღლს უკავშირდება;

**შვეულად:** 1. ჯოჯოხეთის ერთ-ერთი ბინადარი; 2. შოტლანდიის ერთ-ერთ ტბაში (ვითომ) მობინადრე სუბიექტი; 3. თევზის ჭამისას გასაფრთხილებელი რამ; 4. ქალაქის ნაწილი, რომელიც ზოგიერთ ძველ ბიჭს სტიმულს მატებს; 5. არეულდარეულობის სახესხვაობა; 7. „გენთან" და „ალთან" ახლოს მყოფი ჭკვიანი კაცი; 8. თბილისური ზამთრის აუცილებელი სადამოსეული ინვენტარი; 9. კაცი, რომელიც ორ უცხოელს აკავშირებს; 11. „ღალატის თვალსაჩინოებასა" და „სიწითლესთან" დაკავშირებული ყურძენი; 15. როგორი ქალი იყო ზღაპრული ელენე? 19. ხელით საზომი ერთეული; 20. გარყვნილი – მეცნიერულად; 23. კინომცოდნე, რომელიც სულ „ცვახარებს"; 25. მასწავლებლის „შრომის ნედლეული"; 27. ყარამანის და ბონდოს მეგობარი; 29. ბუმბულებიანი ვაჟკაცი; 30. მზესთან დაკავშირებული „ათი ერთეული"; 33. პოეზიის სახუმარო-ყოფითი სახესხვაობა; 35. ალკოჰოლის ახლო მეგობარი; 36. ქალი, რომელიც ერთ დროქ წყალში გაცვალეს; 39. იაპონური სამაგიდო თამაში; 40. ორასოიანი გამდინარე წყალი;



# Football-Word



**თარაზულად:** 1. ესპანეთის „ვალენსიის" ესპანელი მეკარე. 5. „ბარსელონას" ბულგარელი თავდამსხმელი. 9. საფეხბურთო შეღავა. 11. ინგლისის „ევერტონის" რუსი ლეგიონერი. 14. 70-80-იანი წწ. ბაქოელი თავდამსხმელი. 15. ახლო წარსულის კამერუნელი მეკარე. 16. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი. 17. ნელი სიარულის სახესხვაობა. 20. ზმნის საწყისი ფორმა. 21. ერთ-ერთი „რაპიდის" მშობლიური ქალაქი. 24. რა ერქვა ზეელერს, 50-60-იანი წწ. ბომბარდირს? 25. სამედიცინო სითხე. 27. მუსიკალური ინსტრუმენტი. 30. შენობის შესასვლელი ნაწილი. 31. „ალანიის" ქართველი მცველი. 33. „ნიუ კასლის" კოლუმბიელი ლეგიონერი. 35. საფეხბურთო ამპლუა. 36. 80-იანი წწ. ესპანელი ფეხბურთელი. 38. ყველაზე პრესტიჟული პრემიის ავტორი (ფეხბურთელებს ეს პრემია არ ეძლევათ). 39. ტორეადორის შეძახილი. 40. თანამედროვე ინგლისელი ფეხბურთელი. 42. რუსული ფეხბურთის ხელმძღვანელი. 44. თანამედროვე შვედი ფეხბურთელი. 46. 80-იანი წწ. იტალიელი ფეხბურთელი. 49. ნიგერიელი ფეხბურთელი, თამაშობდა „აიაქსში". 51. ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდა. 54. „პარი-სენ-ჟერმენის" ბრაზილიელი თავდამსხმელი. 56. „კარლ ცეისის" მეკარე 1981 წლის 18 მაისის მატჩში. 57. ერთი „აიაქსში", მეორე – „მეხელენში", მესამე – „ბრედაში". 58. 70-იანი წწ. თბილისის „დინამოელი". 60. სახელმწიფოს ერთ-ერთი სტატუსი. 63. თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, მიხაელი... 64. თანამედროვეობის უძლიერესი გუნდი ფრანგულ ფეხბურთში. 65. სომხეთის საფეხბურთო კლუბი. 69. თანამედროვე ფრანგი ნახევარმცველი; 71. ღრეობა; 73. ბურთის თამაშგარე მდგომარეობა. 74. ინგლისის საფეხბურთო კლუბი. 75. რა იყო ნარანხიტო (1982 წ. მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა) თავისი არსით? 77. 80-იანი წწ. სსრკ-ს პარტიული ლიდერი, ფეხბურთის დიდი მოყვარული. 78. ქართველი კინომსახიობი, თენგიზი... 79. ბათუმის „დინამოს" ახლანდელი მწვრთნელი. 80. ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. ფეხბურთის ამერიკული ვარიანტი. 2. 60-70-იანი წწ. იტალიელი ფეხბურთელი. 3. საბჭოთა არმიული ფეხბურთის ერთ-ერთი ცენტრი. 4. თხელი სიფრიფანა ზედაპირი. 6. „ბებერი ქალბატონი" – საფეხბურთო სამყაროში. 7. ახლო წარსულის ქართველი ფეხბურთელი, გოჩა... 8. 1958 წ. ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი. 10. ბრაზილიის საფეხბურთო ცენტრის შემოკლებული სახელი. 12. მადრიდის „ატლეტიკო" ყოფილი არგენტინელი ლეგიონერი. 13. 1966. წ. მსოფლიო ჩემპიონი. 14. „ინტერის" ფრანგი ლეგიონერი. 18. 70-80-იანი წწ. უძლიერესი გერმანელი მცველი. 19. 60-70-იანი წწ. უძლიერესი გერმანელი ფეხბურთელი. 22. 1973 წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის გამარჯვებული ქალაქი. 23. დსთ-ს ერთ-ერთი საფეხბურთო ქვეყანა. 26. მეფე... ამით ყველაფერი ნათქვამია! 28. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი. 29. ქალაქი, სადაც წლების განმავლობაში მარადონა თამაშობდა. 32. ბულგარეთის ნაკრების წევრი. 34. თანამედროვე ჩეხი ფეხბურთელი. 36. კიდევ ერთი მეფე!!! (ოღონდ ქართული ფეხბურთის). 37. სინიორ კაზირაგის ერთ-ერთი სახელი. 40. 1954 წ. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. 41. გუცაევი, ყიფიანი, შენგელია... მუსიკალურად. 43. ერთობ ეგზოტიკური ქართული სახელი. 45. ცნობილი დანიელი ფეხბურთელი ძმების გვარი. 47. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი. 48. ესპანური ფეხბურთის გრანდი. 50. ატლანტის ოლიმპიადის ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში. 52. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 53. 60-70-იანი წწ. უძლიერესი იტალიელი თავდამსხმელი. 55. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი. 59. ინგლისის საფეხბურთო კლუბი. 61. ქალაქ ბელგრადის საფეხბურთო კლუბი. 62. მოედნის ნაწილი. 63. „მანჩესტერ იუნაიტედის" დანიელი მეკარე. 66. თანამედროვე რუმინელი თავდამსხმელი. 67. საქართველოს საფეხბურთო გუნდი. 68. 80-90-იანი წწ. გერმანელი ფეხბურთელი. 70. 60-70-იანი წწ. თბილისის „დინამოს" ბერძნული წარმოშობის ფეხბურთელი. 72. სურინამული წარმოშობის ჰოლანდიელი ფეხბურთელი. 76. ფეხბურთში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი საშუალება.

# სერპანტინი – 3



# სავარჯიშო



*მოცემულ 18 სიტყვას თავ-თავისი ადგილი მიუჩინეთ ზემოთმოტანილ სამ პატარა ჩარჩოში*

| | |
|---|---|
| ამულეტი | მანაგუა |
| ატამანი | სინჯარა |
| ბორჯომი | ქარაგმა |
| გაფიცვა | ციკლონი |
| გვირაბი | ღვალება |
| დაცინვა | ხანჯალი |
| კოლონია | ჯანჯალი |
| კოჰორტა | ჯინჯილა |
| კუკლეტი | ჯონჯოლი |

# პაუზა

ერთმა მთიელმა თავის ძმას დაურეკა მოსკოვში:

– ვაიმა, ძმაო, დედა დავკარგეთო!

– როგორ, კაცო?

– ბლის ხეზე ავიდა, ჩამოვარდა და დავკარგეთ!

– ხის ძირას კარგად მოძებნეთ, მანდვე იქნება, ტყუილად არ ჩამომიყვანოთ – გაბრაზდა მოსკოველი ძმა.

☺ ☺ ☺

მთიელს ცოლი არა „სწყალობდა" და ასეთი „ეშმაკობა" მოიგონა – „მოდი, ვირს მწვანედ შევღებავ, ჩემი ცოლი რომ დაინახავს, იტყვის – ვაი, მწვანე ვირი?! – მე კიდევ ვეტყვი – რა დროს ვირია, წამო „საქმე ვნახოთო".

შეღება მთიელმა ვირი, მიიყვანა სახლში და ცოლს დაუძახა:

– ქალო, მოვედიო!

– მოხვედი, გენაცვალე! მოდი, „საქმე ვნახოთო"

– არა, ჯერ გამოდი, მწვანე ვირი ნახე – გეგმა არ დაარღვია მთიელმა.

☺ ☺ ☺

აღმოსავლელქართველს ტრაქტორი მისცეს მეურნეობაში და თან დაარიგეს – ვირის მაგივრობას გაგიწევს და, როგორც გინდა, ისე იხმარეო.

ტრაქტორის მფლობელმა დიდხანს უარა გარშემო ამ საჩუქარს და ბოლოს ამოღერღა – ამას რა იხმარებს, სულ რკინაა?!

# თავსატეხი

გიაავაზობთ რვა სიტყვას, სადაც ასოები გადანაცვლებულია. თქვენ უნდა დაუბრუნოთ ამ ასოებს პირვანდელი სახე და შემდეგ ამოიცნოთ ის ერთი ზედმეტი სიტყვა, რომელიც ლოგიკურად არ შეესაბამება აღნიშნულ ჯგუფს:

| | |
|---|---|
| პანოილე | ცვეიანე |
| ნამილი | სერმილა |
| ნაკრემო | ირტუნი |
| ანუგე | ცანილოფრე |

# შარადა

*ფანჯრის თაროს რომ ჰქვია და*
*ამ შარადას თავში რომ აქვს,*
*მიუწერეთ ის, რაც პირს გვბანს,*
*რაც წერს და რაც*
*გვივსებს სტომაქს,*
*ოღონდ მას „ხ" წაუშალეთ,*
*რადგან ხელის შეშლა მოაქვს*
*და მხატვარი გაიხსენეთ!*
*(ვისაც, რა თქმა უნდა,*
*დრო აქვს!)*

გასული ნომრის პასუხები (მე-4 გვ.)

თარაზულად: 13. ამირსპასალარი. 14. ტოროლა. 15. სოროსი. 17. ანაკონდა. 18. რეკრუტი. 19. ბროგანტინა. 20. ატლასი. 21. ეიფორია. 22. ერევანი. 23. სოია. 24. ლტოლვილი. 26. ლოტო. 27. იმპორტი. 28. დაფნა. 31. ინფიქსი. 33. ურალი. 34. ტურნიკეტი. 40. მანშიამვილი. 42. პატენტი. 43. ამაზონი. 46. რეაფეხა. 47. აგრონომია. 48. ქსპანიოლი. 50. ალბიონი. 51. მტკვრელი. 52. ფორტეპიანო. 55. კორექტორი. 57. შვრია. 59. სიმენსი. 63. მატროსოვი. 64. გრანიტი. 65. სექტა. 66. თვე. 70. რეჩხი. 71. ნოვატორი. 72. პონტი. 73. ჯაყვა. 76. ბარისახო. 78. ჭონა. 79. დინგო. 80. არმინია. 83. გაწამაწია. 85. ცისკარა. 86. ტრენაჟორი. 90. ელექტროდეპო. 93. სიმფეროპოლი. 94. ეგო. 97. ტრამალი. 98. ტაიმანოვი. 100. ენისელი. 104. ფაუნა. 105. აკორდეონი. 106. სკოლა. 107. ბისაუ. 111. სსრკ. 112. ანტიფრიზი. 113. მატერია. 114. აქტი. 116. სკონტო. 117. სონი. 118. ანანური. 119. კრიტიკა. შვეულად: 1. იმუნიტეტი. 2. თრაკია. 3. აპენდიციტი. 4. ქსპნეთი. 5. ქლოროფილი. 6. პრიკურატურა. 7. კოლიზეუმი. 8. სომბრერო. 9. კალიმანტანი. 10. ასკანიო. 11. პროტესტანტიზმი. 12. ასუნსიონი. 16. დუბაი. 25. ლანდშაფტი. 29. ალბათობა. 30. აკომპანემენტი. 32. სხვა. 35. უატი. 36. მაყვალა. 37. ალიგატორი. 38. რეკოლიფსტა. 39. ანილინი. 41. არხანგელსკი. 44. გოგრა. 45. ასორტიმენტი. 49. უფა. 53. იასი. 54. სტივენსონი. 56. ოპრიჩნინა. 58. ვენერა. 60. ყაურმა. 61. პრეტენზია. 62. ქვევრი. 67. კვაჭი. 68. ბორგი. 69. მარიაჟი. 70. მიკროფონი. 75. კრინოლინი. 77. ანაგრამა. 81. აკრი. 82. გრიპი. 84. აული. 87. რეგალია. 88. სპა. 89. პროვოკატორი. 91. ქრონიკონი. 92. ღელიკატესი. 95. გაბელია. 96. ასპირანტი. 99. მუნტიანი. 101. პარსეკი. 102. გრაფინი. 103. ფლორა. 108. პანოი. 109. შმონი. 110. დაირა. 115. ტიკი.

# სუპერკროსვორდი




## თარაზულად

*7*. ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე, რიველინო; *8*. სატირული ხასიათის პატარა მოთხრობა; *11*. ჯიუტი, კერპი... უცხოური სინონიმით (როგორი?); *12*. სპარტაკის ძირითადი პროფესია; *15*. მოკლოვის ცნობილი კულტურულ-ადმინისტრაციული დანიშნულების ქუჩა; *16*. რა „წინსართი" შეიძლება უსწრებდეს გვარს – მესხიშვილი? *17*. მონიკა ვიტის ცნობილი სიცილიელი პერსონაჟი; *21*. ბავშვური ლაპარაკი; *22*. ფრანგი კომპოზიტორი, მორისი... ცნობილი „ბოლეროს" ავტორი; *23*. ძლიერი და განუწყვეტელი შეტევა; *24*. ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი (ისევ გამოდის თუ არა, ვერ გეტყვით); *28*. საშვებულებო-საარდადეგებო დანიშნულების ნაგებობა; *30*. რა უნდა „წამოვიდეს" ბაქოდან ევროპისაკენ... საქართველოს გავლით?! *31*. მინდვრის ყვავილი (საფბურშიც შეიძლება გამოიყვანო, თუ მოინდომებ); *33*. რა ფირმა შექმნა გერმანელმა ადი დასლერმა? *35*. ცირკის „თავგანწირული" მსახიობი; *36*. წყალსა და ღვთის წყალობას მოკლებული ადგილი; *38*. (ვინმე) ანდერსენი კანადიდან, რომლის სილამაზით ყურები გამოგვიჭედეს მორეკლამეებმა; *39*. ისრაელის წარმოების წყლის გამაცხელებელი; *41*. ერთი ადამიანის ფეხის აგრესიული შეხლა მეორე ადამიანის (უკაცრავად!) უკანალზე; *42*. საბავშვო სიმღერის პერსონაჟი, კარტოფილის ამოსაღებად გაწვეული; *43*. გვარი, კილო, კონტაქტი, სერია, მწკრივი... კიდევ? *45*. საზეიმო თანმხლებთა ჯგუფი; *47*. „ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ, ..........., თქვენნი თხანია!" (ჩასვით გამოტოვებული სიტყვა); *49*. როგორი მოძრაობა ახასიათებს ჩვენს საერთო „სახლს"? *50*. მოჩვენებითი, წარმოსახვითი რამ; *52*. საქართველოს ერთ-ერთი ქედი; *55*. როგორი უნდა იყოს გოგონა? *57*. წონის არატრადიციული მცირე ერთეული; *59*. მოჭადრაკის უმაღლესი ტიტული; *61*. ლითონის „კვდომის" პროცესი; *63*. იგივეა, რაც მწვალებელი; *65*. შიში ყოველგვარი სიახლისადმი; *66*. (არამარტო ჩვენი აზრით) „ყველაზე ქართული მდინარე" *68*. რა უნდა „დაადგეს" გარდაცვლილ (კეთილ) ადამიანს? *69*. „აღმოჩენის" სიტყვა; *70*. ღილტანიანი, ახოვანი მამაკაცის ხმოვანი თავისებურება; *71*. ციური სხეული; *73*. კარტოფილში არსებული ნივთიერება; *74*. მთლიანი, ყოვლისმომცველი ანუ როგორი? *75*. სიტყვიერი შეურიგებლობა არსებული ვითარებისადმი; *76*. რა სჯობია „თავს", ვიდრე „ბოლოკამს" (გურამიშვილის თა[illegible]ად)?

## შვეულად

*1*. ძალიან სანუკვარი და საყვარელი, ანუ როგორი? *2*. ყინულების ყველაზე დიდი სივრცე; *3*. განუხორციელებელი, აუხდენელი ოცნება; *4*. ახლო წარსულის უძლიერესი ჩეხი ჩოგბურთელი; *5*. თვლისა და ანგარიშის „მეცნიერება"; *6*. შნოიანი, შემძლე ანუ როგორი? *9*. „მადამ ბოვარი", „სალამბო" – ვინ გაგახსენდათ? *10*. ბრუნებასა და უღვლილებაში სიტყვის ფორმის ცვლა; *13*. რა აქვთ საერთო ხელსა და ვაზს? *14*. ორგანიზმის მგრძნობიარობის შეცვლა... სეზონურად? *18*. რა აქვთ საერთო თურქეთს და ქვეწარმავალთა სამყაროს? *19*. ფილტვების გარე აპკი; *20*. ორგანიზმის რეაქცია არახელსაყრელი ფაქტორების საპასუხოდ; *21*. ფერდობზე კიბე-კიბე შექმნილი მოედანი; *25*. ფრანგი მსახიობი, რომელმაც ქართულ კინოში კულინარობა ისწავლა; *26*. შორს ჭვრეტის ხელსაწყო; *27*. რა სიტყვა შეესაბამება ამპლიტუდას ქართულად? *29*. რა ნაგებობაა ენათა აღრევაში „დამნაშავე"; *32*. როგორი დაჯგუფებები ემემკვიდრებიან ჰიტლერის იდეოლოგიას? (როგორი?); *34*. როგორი საქართველო შენდება ახლა? *37*. არატრადიციული ქრისტიანი; *38*. იგივეა, რაც ვარაუდი; *39*. ცნობილი ხევსურული ტოპონიმი; *40*. საბანკო ცნება; *44*. „ინდური წარმოშობის" ქიმიური ელემენტი; *45*. ავტორი ფრაზისა „შრომამ შექმნა ადამიანი"; *46*. ხმის „დაავადება"; *48*. რა შეიძლება დაატყდეს ცოდვილს განმკითხავისაგან? *51*. უფერო და უსუნო გაზი; *52*. მიზნის მიღწევის ცივილიზირებული საშუალება; *53*. როგორი სახელმწიფო იყო სსრკ? *54*. ჭრიჭინას ერთ-ერთი ბებია; *56*. რუსული ესტრადის მომღერალი მამაკაცი; *57*. მუსლიმანთა საკულტო ნაგებობა; *58*. იუმორისტული სპექტაკლის მონაწილე მსახიობი-პერსონაჟი; *60*. ძველი თაობის ხუთი რუსი ფეხბურთელი ძმის გვარი; *62*. როგორი ციფრები გამოიყენება ახლა? *63*. მომხვეჭელობის მანკიერი თვისება; *64*. სოფელი გარეკახეთ-კახეთის ზღვარზე; *67*. წყალში გასახსნელი სალებავი; *70*. ბრიჯიტ ბარდოს შეომარი კინოპერსონაჟი; *72*. ნიადაგის „კვდომის" პროცესი;

*–„ჭიჭიკია, ლატარიაში 10 000 ლარი რომ მეიგო, რას უზამ იმ ფულს?*
*– „მეზობლების თანდასწრებით სიდედრს ვაჩუქებ!"*
*– რეიზა, შე აბდალო?!"*
*– „სიხარულისგან გული გოუსკდება!"*

## მოძებნეთ, შეიძინეთ, გაერთეთ! „ფანტაზიის" დამატება

## საკროსვორდო გაკვეთილები

### მეექვსე გაკვეთილი
### თემა – «ქაოტური კროსვორდი»

*(ნაწილი მეორე)*

*დღეს წარმოვიდგენთ ნიმუშს ე.წ. „ბუდეებიანი კროსვორდისა". დააკვირდით ნახაზს და დაინახავთ, რომ 4-4 ან მეტი თარაზული ან შვეული სიტყვები ერთმანეთის გადაკვეთისას რაღაც ცალკე არსებულ ერთეულს ქმნიან და მეორე ერთეულს ერთი საზიარო სიტყვით უკავშირდებიან. ეს ისევეა, როგორც პოეზიაში, როცა ლექსში რითმები განლაგებულია არა სტრიქონების ბოლოში, არამედ შუაში. ამგვარი კროსვორდის შედგენა ძალზედ რთულია და ხანგრძლივი ვამოცდილების შედეგად მიიღწევა. ასე რომ, დამწყებებს ვურჩევთ, ჯერ თავი შეიკავონ „ბუდეების" შენებისაგან, ყველაფერს თავისი დრო აქვს, თუმცა ვინ იცის?!*



**თარაზულად:** 1. ქართული ზღაპრის შურისმაძიებელი პერსონაჟი; 6. სახის ნაწილი, სადაც ცრემლები იკვანძება; 9. ვაჟას მშობლიური სოფელი; 11. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი; 12. თამბაქოს წევის აღმოსავლური მოწყობილობა; 13. ოცდათორმეტნაოჭიანი პროდუქტი; 14. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მარადონას დაუოკებელი თაყვანისმცემელი; 15. ორსიტყვიანი სინონიმი სიტყვისა – „მეგობარი"; 16. ქართული პოეზიის პატარძეული გენია; 17. ინდის ხურმა – ბერძნულად; 20. ლექსის ნაწილი; 21. მტირალა ხე; 24. (მუსიე) მერიმე, სახელობითი ბრუნვის ნიშნით; 25. ავდარში ჩასაცმელი სამოსი; 28. გურამ პატარაიას მოკლემეტრაჟიანი „სპორტული" ფილმი; 29. რუსული ესტრადის მომღერალი ქალი; 30. იძულებითი გადასახადი; 31. ქართველი კალათბურთელი; 32. ტბა შუაგულ ანდებში; 36. არეულდარეულობა ანუ რა? 37. გია დანელიას კინოფილმი; 40. ხერხის სახესხვაობა; 41. საგანგებო დავალება; 44. კოლო ანოფელესის მიერ ტრანსპორტირებადი დაავადება; 45. ვაკანტური ადგილისათვის მაშვრალი პირი; 46. ავსტრიელი პოეტი, რაინერ მარია... 47. ახალი წელი გურიაში; 48. თარაზული №44-ისათვის აუცილებელი მედიკამენტი; 49. სავარცხლიანი ფრინველი;

**შვეულად:** 1. საკვები ცხიმი; 2. ქალაქი ძველ ეგვიპტეში და თანამედროვე აშშ-ში; 3. შამბნარში მზარდი მცენარე; 4. კინობოევიკების ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი; 5. ვიოლინოზე დაკვრის განუმეორებელი ოსტატი; 6. ქართველი მსახიობი ქალი; 7. ქართველი პიანისტი მამაკაცი; 8. წარჩინებული მსახიობი ქალი ზოგადად; 9. თბილისის „დინამოს" უძლიერესი მცველი 60-იან წლებში; 10. განკურნების მეცნიერება; 17. ქართული ცეკვა; 18. ინდოელი ქართველი ქალი; 19. ქალაქი იტალიაში; 21. მაღალფარდოვანი ფრაზა; 22. კუთხე ობიექტივსა და ობიექტს შორის; 23. გეომეტრიული ხელსაწყო; 25. საფეხბურთო ამპლუა; 26. ქუთაისის დანგრეული ტაძრის „ნათლია"; 27. უდიდესი ინგლისელი ბუნებისმეტყველი; 32. შემწვარი წიწილის ფორმა; 33. (ბატონი) გრანელი, ქართველი პოეტი; 34. მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა ზოგადი სახელი; 35. ჰავა სპარსულია, რა არის მისი ბერძნული სინონიმი? 37. სახის გამომეტყველებათა საერთო სახელი; 38. აფრიკის სახელმწიფოს, მალის მკვიდრი მოსახლე; 39. ყველაზე კარგი მსახიობი რომის იმპერატორთა შორის; 41. ზაფხულის პაპანაქების განქარვების ინვენტარი; 42. აკრობატის „პური არსობისა"; 43. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში;

*ერთმა მთიელმა ლატარიის ორი ბილეთი იყიდა და ერთი მათგანით მანქანა მოიგო. დაჯდა და დაიწყო ჩივილი – „ჭკუა ვერ ვისწავლე, ამხელა კაცმაო?!"*
*– „ხომ მოიგე და რაღას წუწუნებო, ბუხუტი?" – ჰკითხა მეზობელმა.*
*– „კი მოვიგე, მაგრამ ეს მეორე ბილეთი რაღად მინდოდა?!"*

## გასული ნომრის პასუხები

(სანახაობათა კროსვორდი) ჰორიზონტალურად: 10. კანადა; 11. რითმი; 12. სიუხვე; 13. ფეოდალიზმი; 14. კაიშაური; 15. მძაფრი; 16. ნიკოლსონი; 19. ბუდნიერი; 21. შვილიშვილი; 22. წიქ; 23. ჰემოგლობინი; 26. ხაო; 29. ეშმაკები; 31. ტოგა; 32. კორეა; 34. აკროსტიქი; 36. მაკედონია; 38. ბლინი; 39. კლანჭი; 40. რენეტი; 43. იდილია; 44. რეგენტი. 45. ჩიტი. ვერტიკალურად: 1. საბერძნეთი; 2. სალდაფონი; 3. პაულსი; 4. ბრეზენტი; 5. ბონი; 6. ლინკოლნი; 7. ასლი; 8. მურავიოვა; 9. გვირგვილიანები; 17. კაშალოტი; 18. ორიონი; 20. ევერესტი; 24. ოში; 25. ბაგრატიონი; 27. საპოვნილა; 28. გორილინიზი; 30. შოკოლადი; 33. გეორგია; 35. ქოლერა; 37. ანაგა; 41. ტუტე; 42. პან;

(ციტატებიანი კროსვორდი) თარაზულად: 3. იყილება. 7. მიმაბარეო. 13. ტოტებს. 14. თხა. 15. ელმავალმშენებელთა. 16. ალთა. 17. საბანაოდ. 18. შეიშრე. 19. ოსტროვსკი. 23. არტერია. 25. ირონია. 26. ერებუნი. 28. საშვილიშვილო. 31. ჩიტი. 33. ჩამოვიდნენ. 35. სადიხა. 39. ალაზნის. 41. და. 42. მოაგელვებს. 44. ტოტი. 45. იეზუიტებმა. 46. აქა. 48. შეიქმს. 50. სატიალო. 51. ვლად. 52. რეიკიავიკი. 54. აურზაური. 55. უდის. შვეულად: 1. თოვლის. 2. მენატრება. 3. ისევ. 4. იამაიკა. 5. ვიცეს. 6. ავლაბარში. 7. მაშინ. 8. მინდორი. 9. ბები. 10. რელსებით. 11. ოთახში. 12. სანთელივით. 19. ოდენ. 20. ვენეციელი. 21. ირმა. 22. სოფლის. 24. ალიონზე. 27. დიახ. 28. სანთელი. 29. შენ. 30. ვიტი. 32. ამხანაგის. 33. ჩამოჰკრა. 34. ფლოტი. 36. ანტიგონე. 37. ინტერვიუ. 38. ადამიანი. 40. სიზმარი. 43. სტიქია. 47. არის. 48. შავი. 49. გავა. 53. მინდა.

(ლოგოვორდი) 1. ტერნერი, ლედისერთა, „მოხევის ქალი", ათინათი = თინათინი; თორნიკე, სუვოროვი, ველინგტონი, ჟუკოვი = მხედართმთავარი; მარკო პოლო, კოლუმბი, დანიბეგაშვილი, ნიკიტინი = მოგზაური; აბო, ჰარუნ-არრაშიდი, ალადინი, ბედუინი = არაბი. მიღებული ოთხეული (თინათინი + მხედართმთავარი + მოგზაური + არაბი) გვაძლევს ავთანდილს. 2. გრ.აბაშიძე, მეოთხე, რუსუდანი, მონღოლები = ლაშა-გიორგი; შამათი, ხუან კარლოსი, ტახტი, მონარქია = მეფე; მზიური, მოსკოვი, ლეგრანი, გვერდი = თამარ გვარდწითელი; მზე, პეტერბურგი, ფეხბურთი, ფოტოაპარატი = ზენიტი; (ლაშა-გიორგი + მეფე + გვერდწითელი + ზენიტი = თამარ მეფეს). 3. ჯვარედინი, რკალური, მოსაზღვრე, ვერლიბრი = რითმა; გალაქტიკა, მიხაკი, ყანწები, 1937 = ტიციანი; შექსპირი, პეტრარკა, 14, თაბუკაშვილი = სონეტი; ეკალი, ვარდი, აკაკი, გიტარა = „სულიკო"; (რითმა + ტიციანი + სონეტი + „სულიკო" = პოეზიას.). 4. ლეილა, დოდო, ასლანი, მემედი = აბაშიძე; 1001, აქლემი, აგარიანები, მუჰამედი = არაბეთი; კვართი, სიკეთე, ჯვარი, ქალწული = ქრისტე; ალია, მაკაბი, „პასპორტი", თელავი = ისრაელი; (აბაშიძე + არაბეთი + ქრისტე + ისრაელი = პალესტინას).

ახლა გეკითხებით: რა უნდა მივიღოთ ფინალში სიტყვებით – ავთანდილი, თამარი, პოეზია, პალესტინა? პასუხი ყველამ იცის!

(საკროსვორდო გაკვეთილები) თარაზულად: 1. ჩოფიკაშვილი. 6. იმპერია. 11. ჩარიზი. 13. ძერა. 14. როლანი. 15. ნოვალისი. 17. ალბომი. 19. ქვა. 20. ანკეტა. 21. შიო. 22. მორიელი. 25. ქამარი. 26. ქარხანა. 27. კრივოი. 28. მუტი. 30. პიზა. 31. მონტესკიე. 33. ვერა. 34. ოყა. 36. სადი. 38. ტროლეიბუსი. 41. მაკრამე. 42. ბორანი. 43. უპაერო. 44. ნარგილე. 46. აჯა. შვეულად: 1. ჩოჩარა. 2. ფირალი. 3. კაზანოვა. 4. ვატერლოო. 5. ლიმასოლი. 7. მორავია. 8. ეში. 9. ინკასატორი. 10. სტანისლავსკი. 16. ლოკომოტივი. 18. წინასიტყვაობა. 22. მგალობელი. 23. რაკეტა. 24. ოხრა. 25. ქიმერა. 29. ორანჟერეა. 32. ფორინტი. 35. სუფევა. 36. სიმონა. 37. ლოკერი. 39. იაპეე. 40. ბაგით.

ი/ს „ფანტაზია"
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811 (15.07.1996)
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები